

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 29 ოქტომბრის №1503/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი „ROYAL ALIGATOR“ რეგისტრაციას არ ექვემდებარება, რადგან მსგავსია კომპანია „ProfiOffice GmbH“ (მის: Beyerbach Str. 9, 65830 Kriftel) სახელზე მე-7 კლასში რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნისა: „Alligator“ (საერთაშორისო რეგისტრაციის №924702; რეგისტრაციის და გავრცელების თარიღი: 17.01.2007წ.). ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი შეიცავს სიტყვა „ROYAL“, მაგრამ ეს არ სძენს მას განმასხვავებლობას, რადგან ნიშანში მთავარი სიტყვაა „ALIGATOR“, რის გამოც, განცხადებულ ნიშანს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, უარი ეთქვა რეგისტრაციაზე.

აპელანტი შპს „ROYAL ALIGATOR“ არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნები განსხვავდებიან გრაფიკულად (ვიზუალურად) და ფონეტიკურად. კერძოდ, განცხადებული ნიშანი შედგება ორი სიტყვისაგან, ხოლო დაპირისპირებული ნიშანი წარმოადგენს ერთსიტყვიან აღნიშვნას. აპელანტის პოზიციით, ნიშნებს შორის გრაფიკული განსხვავება აისახება ნიშნების ფონეტიკურ მახასიათებლებზეც. განცხადებული ნიშანი ქართულად გამოითქმის, როგორც „როიალ ალიგატორ“, მაშინ, როცა დაპირისპირებული ნიშანი გამოითქმის, როგორც „ალიგატორ“, შესაბამისად, განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნების უღერადობა განსხვავებულია, რაც, ასევე, გამორიცხავს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანას საქონლის მწარმოებლის მიმართ. სასაქონლო ნიშნების შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლის არსებობის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს იმ საქონლის მსგავსება, რომლისთვისაც განცხადებულია დაპირისპირებული ნიშნები. კერძოდ, იმ შემთხვევაში თუ დაპირისპირებული ნიშნების საქონლისა და მომსახურების

ჩამონათვალი სხვადასხვაა ნიშნების იდენტურობის შემთხვევაშიც კი არ არსებობს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებული საფუძველი. აპელანტის მითითებით, მოცემულ შემთხვევაში საქპატენტის ექსპერტიზის ერთადერთ არგუმენტს საქონლის მსგავსებასთან დაკავშირებით წარმოადგენს ის გარემოება, რომ ორივე ნიშნის რეგისტრაცია მოთხოვნილია მე-7 კლასის საქონლისათვის. თუმცა, საქპატენტის ექსპერტიზა არ განმარტავს, კონკრეტულად რაში გამოხატება დაპირისპირებული ნიშნების საქონლის მსგავსება. მხოლოდ ის ფაქტი, რომ ორივე ნიშნის რეგისტრაცია მოითხოვება მე-7 კლასში შემავალი საქონლისათვის არ არის საკმარისი საქონლის მსგავსების დასადგენად. აპელანტის მითითებით, საერთაშორისო პრაქტიკით აღიარებულია, რომ ნიცის კლასიფიკაცია არ წარმოადგენს საქონლის მსგავსების დადგენის ინსტრუმენტს, არამედ მისი მიზანი მხოლოდ საქონლის კლასიფიკაციაა. ასევე, საერთაშორისო პრაქტიკით დადგენილია, რომ ნიცის კლასიფიკატორის ერთსა და იმავე კლასში საქონლის არსებობა, არ შეიძლება გამოყენებული იქნას როგორც მსგავსების დადგენის არგუმენტი. შესაბამისად, საქონლის მსგავსების დადგენა ექსპერტიზის მიერ უნდა მოხდეს საქონლის სახის, ხასიათის გათვალისწინებით და არა ფორმალურად რომელიმე კლასისათვის მიკუთვნებით. აპელანტის პოზიციით, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დაპირისპირებული ნიშნების საქონლის ჩამონათვალი აბსოლუტურად განსხვავებულია. კერძოდ, განცხადებული სასაქონლო ნიშნის „ROYAL ALIGATOR” მფლობელი კომპანია ნიშნის რეგისტრაციას ითხოვს მე-7 კლასის შემდეგი საქონლისათვის: „სახერხი მანქანები და იარაღები; ჯაჭვური ხერხები, მათ შორის ხელის ჯაჭვური ხერხები ბენზინისა და ელექტრულ ძრავაზე; ბალახის საცელი აპარატი (გაზონსაკრეჭები) მათ შორის ბენზინისა და ელექტრულ ძრავაზე, ზემოთ ჩამოთვლილი საქონლის დეტალები და სათადარიგო ნაწილები”, ხოლო დაპირისპირებული ნიშნის „ALLIGATOR” მფლობელი კომპანიას სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებული აქვს მე-7 კლასის შემდეგი საქონლისათვის: „შრედერები (მანქანები) სამრეწველო დანიშნულების, კერძოდ გარდა საოფისე და პირადი მოხმარებისა (Shredders (machines) for industrial use, namely excluding for office or private household purposes). აპელანტის პოზიციით, მიუხედავად იმისა, რომ დაპირისპირებული ნიშნების საქონლის ჩამონათვალი

მიეკუთვნება მე-7 კლასს, ნათელია, რომ მათი რეგისტრაცია მოითხოვება ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავებული საქონლისათვის. კერძოდ, განსხვავებულია როგორც საქონლის სახე, ისე მათი პოტენციური კლიენტების ჯგუფები, გაყიდვის ადგილი და ფორმა და ა.შ. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის საქონლის ჩამონათვალი ცალსახად მიუთითებს, რომ ნიშნის დაცვა მოითხოვება მხოლოდ სამრეწველო დანიშნულების საქონლისათვის, მაშინ, როდესაც განცხადებული ნიშნის ქვეშ მოითხოვება ისეთი საქონლის დაცვა, რომელიც წარმოადგენს პირადი მოხმარების საქონელს. შესაბამისად, გაუგებარია, თუ რის საფუძველზე მოხდა ექსპერტიზის ეტაპზე დაპირისპირებული ნიშნების საქონლის ჩამონათვალის მსგავსად მიჩნევა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ დაპირისპირებული ნიშნების საქონელი იმდენად განსხვავებულია, რომ ამ ნიშნების იდენტიურობის შემთხვევაშიც კი არ იარსებებდა სასაქონლო ნიშნების შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 29 ოქტომბრის სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ №1503/03 ბრძანების ბათილად ცნობას და სასაქონლო ნიშნის „ROYAL ALIGATOR“ (საიდ. №74294/03) დარეგისტრირებას საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტიური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა“.

კოლეგია ვერ გაიზიარებს აპელანტის პოზიციას და მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი „ROYAL ALIGATOR” (საიდ. №74294/03) და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „alligator” (924702) წარმოადგენს აღრევაძღე მსგავს სასაქონლო ნიშნებს. განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები მსგავსია, როგორც ვიზუალური ისე ფონეტიკური თვალსაზრისით. განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები მსგავსია ვიზუალურად, რადგან განცხადებული სასაქონლო ნიშანი წარმოადგენს ორ სიტყვიან სასაქონლო ნიშანს, რომელიც შესრულებულია სტანდარტული ლათინური ასომთავრული ასოებით. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი შესრულებულია ასევე ლათინურად, სტანდარტული პატარა ასოებით. განცხადებული სასაქონლო ნიშანი მთლიანად მოიცავს დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშანს. განცხადებულ სასაქონლო ნიშანში სიტყვას „ROYAL” ვერ ექნება განმასხვავებელუნარიანობა, რადგან იგი მიუთითებს საქონლის ხარისხზე, კერძოდ აღნიშნული სიტყვა ინგლისურიდან ქართულზე ითარგმნება, როგორც „საუცხოო”, „ჩინებული”, შესაბამისად განცხადებულ ნიშანში ძირითადი დატვირთვა მოდის სიტყვაზე „ALIGATOR”. მართალია, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი განცხადებული სასაქონლო ნიშნისაგან განსხვავებით შეიცავს დამატებით „I” ასოს, მაგრამ აღნიშნული ვერ სძენს ნიშანს იმ ღონის განსხვავებას, რომ არ მოხდეს სასაქონლო ნიშნების ერთმანეთში აღრევა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა. განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები მსგავსია ფონეტიკურად, რადგან ვინაიდან, განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები მთავრდება თანხმოვანზე, ქართული ენის სპეციფიკიდან გამომდინარე ბოლოში ემატება „ი” ხმოვანი და განცხადებული სასაქონლო ნიშანი ქართველი მომხმარებლის მიერ გამოითქმის, როგორც „როიალ ალიგატორი”, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი კი, როგორც „ალიგატორი”. კოლეგია ვერ გაიზიარებს აპელანტის პოზიციას განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების საქონლის განსხვავებაზე და მიაჩნია, რომ ნიცის საერთაშორისო კლასიფიკატორით საქონელი და მომსახურება კლასიფიცირებულია საქონლისა და მომსახურების დანიშნულების, მათი ფუნქციისა და მიზნის მიხედვით. მოცემულ შემთხვევაში,

როგორც განცხადებული ისე დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების ფუნქციას წარმოადგენს ჭრა და დაქუცმაცება და მასთან დაკავშირებული მოწყობილობები, რომლებიც დაკავშირებულები არიან მის საერთო მიზანთან. ზოგადად ე.წ. „შრედერი“ არის ელექტრონული მოწყობილობა, რომელიც მიზნად ისახავს და გამოიყენება ყველანაირი მასალის ზომის შემცირებისათვის, იქნება ეს მეტალი, ხე, პლასტმასი თუ ა.შ. ხოლო ხერხი, ასევე წამოადგენს მოწყობილობას, რომელიც გამოიყენება რაიმე ნივთის ზომის შესამცირებლად. აღნიშნული კიდევ უფრო მეტად ზრდის განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების აღრევის და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებს და სასაქონლო ნიშნის „ROYAL ALIGATOR“ (საიდ. №74294/03) რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველს.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. შპს „ROYAL ALIGATOR“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ძალაში დარჩეს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 29 ოქტომბრის №1503/03 ბრძანება სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ.

3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:

ი. გიქორაშვილი

წევრები:

დ. ჭიჭინაძე

მ. ბ.